

ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N116 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე,
მოქალაქე ლია რუსაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ლია რუსაძის განცხადების (Nr-7943 08.10.14), თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N116 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლია რუსაძეს / პ/ნ N60001095057/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი.გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N116 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე, საერთო ფართობი 60,96 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 32,62 კვ.მ. დამხმარე ფართობი 28,34 კვ.მ. მოქალაქე ლია რუსაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია